აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის

ბრძანება №200/ძ

ქ. თბილისი „25" 06 2021 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის" პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის" ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12) ფარგლებში სტიპენდიის მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

„აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის #11 დადგენილებისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის" (პროგრამის კოდი: 06 04) პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის" (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12) ფარგლებში სტიპენდიის მინიჭების მიზნით კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 01 ივლისიდან 2021 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, პორტალზე და ფეისბუკგვერდზე.

3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ხათუნა შონიას სამსახურებრივი ბარათი (#626451, 24/06/2021წ.).

მინისტრი ეკა ხოფერია